

დაპივიკატი ისტორიული სახელწოდებაანი*

საკავშირო პრესაში («*Известия*», 4 აგვისტო, 1988) გამოქვეყნდა ჩვენი ღია წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელშიც დასმულია გეოგრაფიულ სახელწოდებათა უფლებრივი სტატუსის საკითხი. ასეთ სახელებს ისევე სჭირდებათ გაფრთხილება და დაცვა, როგორც ისტორიულ ძეგლებს, უძველეს ხელნაწერებსა თუ არქიტექტურულ ნაგებობებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ტოპონიმიკაში, ანუ ადგილის აღმნიშვნელ სახელებში – ქალაქის, სოფლის, დასახლებული პუნქტების, მთებისა თუ ლანდშაფტის სხვაობიექტების სახელწოდებებში – აღბეჭდილია სათანადო ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ისტორია და კულტურა, მისი წარსულის დამახასიათებელი თავისებურებანი. ხშირად ასეთი სახელები მშობლიური ენის ისტორიული სინამდვილეა, ენობრივი განვითარების ამა თუ იმ ეპოქის ამსახველი.

გავიხსენოთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის ისტორიული განვითარების გასაგებად *სოფელ ხერთვისის* სახელწოდებას, რომელიც „*ერთვის*“ სიტყვის უძველესი ფორმაა. ამ სახელში გამოიყოფა ოდესღაც პროდუქტიული *ხ-წინსართი*. ასეთი *ხ*-ისტორიულად აუცილებელი იყო ყველა ამ ტიპის ხმნაში, რაც დადასტურდა უძველესი, ეგრეთ წოდებული „*ხანძეტი ტექსტების*“ აღმოჩენით.

გეოგრაფიული სახელწოდება, როგორც ენობრივი ფაქტი, არსებობს არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც და ასახავს მისი შემქმნელი ხალხის ისტორიული თუ კულტურული განვითარების ეტაპებს. ხშირად იგი ფრიად სიმბოლური, ისტორიულ-კულტურული და ენობრივი შინაარსის შემცველია.

გასული საუკუნის ერთ-ერთი მეცნიერი წერდა: „*ტოპონიმიკა მიწის ენაა, ხოლო მიწა წიგნია, სადაც კაცობრიობის ისტორია ჩაწერილია გეოგრაფიული ნომენკლატურით*“.

ამდენად, გასაგებია, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეცვლა იწვევს ისტორიული ინფორმაციის დაკარგვას, ხოლო ამგვარ სახელთა მასობრივი გადაკეთება – სათანადო ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეების მოშლას და ეროვნული თვითშეგნების ხელყოფას.

იგივე შეეხება ქუჩებისა და მოედნების, სხვადასხვა დაწესებულებების (თეატრებისა და კლუბების, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვათა) სახელებს, რომლებიც ანალოგიური ხასიათის ინფორმაციის შემცველია და კულტურული ტრადიციებისა და ისტორიული ტენდენციების ამსახველი უნდა იყოს.

რუსეთში ამჟამად ფართოდ გაიშალა მოძრაობა ამგვარ ისტორიულ სახელწოდებათა შეცვლის წინააღმდეგ და იმობიექტთა ძველი სახელის აღდგენისა და დაბრუნებისათვის,

რომელთა გადარქმევა მოხდა ქვეყნის ცხოვრების გაუკუღმართების ეპოქაში. ამ საქმიანობაში ჩაბმულია საზოგადოებრიობის ფართო წრეები, რომლებიც მოითხოვენ მთელი რიგი ახლად შექმნილი სახელების შეცვლას და ხალხის ისტორიის, კულტურისა და ენის ამსახველი ძველი სახელწოდებების დაბრუნებას.

ეს პრობლემები ჩვენს, ქართულ სინამდვილესაც შეეხება. ბევრი რამ მოუწესრიგებელი და მოუგვარებელი გვაქვს ამ თვალსაზრისით.

რატომ უნდა ეწოდებოდეს, მაგალითად, ჩვენ ქალაქებს „მახარაძე“ (ყოფილი „ოზურგეთი“), „მიხა ცხაკაია“ („სენაკი“), „წულუკიძე“ („ხონი“) ან „გვეგეჭკორი“ („მარტვილი“) მაშინ, როცა არა გვაქვს „ილია ჭავჭავაძე“ ან „აკაკი წერეთელი“?!

ანდა, რატომ უნდა ეწოდებოდეს თბილისის ერთ-ერთ მთავარ გამზირს (არსებითად ქალაქის მეორე ქუჩას) *მენშევიკ პლენაროვის* სახელი, რომელიც ჩვენი ქალაქისათვის არაფრის მთქმელია?

ნუთუ, მთელი ამ ხნის განმავლობაში არ შეიძლებოდა რომელიმე სხვა მოღვაწე გამოძებნილიყო (ანდა, გამოსაძებნი რა გვჭირს?), რომლის სახელი ქუჩასაც დაამშვენებდა და ისტორიულადაც გამართლებული იქნებოდა?

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს თბილისის უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – *ივანე ჯავახიშვილის* სახელი ვუწოდოთ, ისევე როგორც მოსკოვისას ეწოდა *ლომონოსოვის* სახელი. ის, რომ ამჟამად *ივანე ჯავახიშვილის* სახელობისაა «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი», არ უნდა იყოს ამის ხელის შეშლელი მიზეზი. მთელი ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებელი და ორგანიზატორი – *დიდი ივანე ჯავახიშვილი* – ნამდვილად იმსახურებს, რომ მისი სახელი არაერთ სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებას ერქვას საქართველოში, მათ შორის კი მის მიერვე დაარსებულ «ქართულ უნივერსიტეტს». ეს კარგი საჩუქარი იქნებოდა ჩვენი იუბილარი უნივერსიტეტისათვის.
